სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფცია

შინაარსი

I. შესავალი 1
II. სასწავლო პროცესი 1
III. სასწავლო პროცესის დაგეგმვა 2
IV. მხარდაჭერის ღონისძიებანი 3
V. სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევა 5
VI. შეფასება 5
VII. სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა 7
VIII. საბიბლიოთეკო რესურსი და სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა 7
IX. პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული სწავლების პროცესში 8
X. კლინიკური სწავლება 8
XI. სტუდენტთა ინფორმირებულობა 9
XII. დასკვნითი დებულებანი 10

I. შესავალი

ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID-19) პანდემიური გავრცელებისა და საქართველოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან (საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ და იმავე თარიღის №1 დეკრეტი „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“, ასევე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილება „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“) გამომდინარე, ასევე, სოციალური დისტანცირების აუცილებლობის პირობებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - თსუ) იურიდიული ფაკულტეტი (შემდგომში - ფაკულტეტი) მის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ელექტრონული სწავლების საშუალებებით. ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილი უკვე ხორციელდება ზემოაღნიშნულ რეჟიმში შექმნილ ვითარებასთან ადაპტირებული პრაქტიკით.

II. სასწავლო პროცესი

ფაკულტეტი ელექტრონულ სწავლებას ახორციელებს სინქრონული ან/და ასინქრონული ფორმით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^4 მუხლის შესაბამისად. სინქრონული ფორმა გულისხმობს სწავლების პროცესში მის მონაწილეთა

ერთდროულ ჩართულობას, ხოლო ასინქრონული ფორმა - პირიქით, ამ პროცესის მონაწილეთა არაერთდროულ ინტერაქციას.

სავალდებულო სასწავლო დისციპლინებში, რომელთა კონტინგენტი 100 სტუდენტს აღემატება, ძირითადად, გამოიყენება ასინქრონული ელექტრონული სწავლება, ხოლო შედარებით მცირეჯგუფიანი სასწავლო კურსები ხორციელდება სინქრონული ფორმითაც.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომად, სილაბუსების შესაბამისად, სასწავლო მასალა, მათ შორის წერილობითი, ხმოვანი, გამოსახულებითი, აუდიოვიზუალური და ა.შ., ციფრული სახით იტვირთება თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (→ http://LMS.TSU.GE).

სინქრონული ელექტრონული სწავლებისთვის ფაკულტეტი სარგებლობს დისტანციური საკონფერენციო სერვისით „ზუმი“ (→ https://Zoom.us). ამასთან, ამ შემთხვევაშიც რეკომენდებულია სალექციო აუდიოჩანაწერების, ე.წ. „პოდკასტის“ მომზადება, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ სტუდენტთათვისაც, ვინც მოკლებულია ელექტრონული სწავლების სინქრონული ფორმით სარგებლობის შესაძლებლობას. საერთოდ, ელექტრონული სწავლების პირობებში სასწავლო აქტივობები დაგეგმილი და შეთავაზებულია იმგვარად, რომ სტუდენტებს მიეცეთ მაქსიმალური შესაძლებლობა, ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

III. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

ელექტრონული სწავლების ასინქრონული ფორმის გამოყენებისას სასწავლო კურსის განმახორციელებელი/ხელმძღვანელი ყოველკვირეულად, სააუდიტორიო მეცადინეობის ცხრილით გათვალისწინებულ დრომდე, ცალკეულ დისციპლინაზე რეგისტრირებულ სტუდენტებს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით უგზავნის სალექციო მასალას, მათ შორის აუდიოჩანაწერს (დიდი მოცულობის ფაილის შემთხვევაში შესაძლებელია კომპიუტერული მეხსიერების ისეთი სანდო მესამეული ან ონლაინსაცავებით სარგებლობა, როგორიცაა, მაგ., iCloud, Google Drive, Microsoft OneDrive, Dropbox, Box, pCloud, IDrive და ა.შ.). უკეთ ინფორმირებულობის მიზნით, თითოეულმა სტუდენტმა სასწავლო კურსის ხელმძღვანელისგან თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა მიიღოს ამომწურავი შეტყობინება სასწავლო კურსის ფორმატისა და განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. მონიტორინგის მიზნებისათვის, სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ყოველ ჯერზე იგივე შეტყობინებას თანდართული სასწავლო მასალით გზავნის ფაკულტეტის ელექტრონული ფოსტის საგანგებო მისამართზეც law2020@tsu.ge.

სინქრონული ელექტრონული სწავლებისას ლექციისა თუ სემინარის ჩასატარებლად სასწავლო კურსის ხელმძღვანელი სარგებლობს დისტანციური საკონფერენციო სერვისით „ზუმი“. ამასთან, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით, რადგან სტუდენტთა ნაწილს არ აქვს უწყვეტი წვდომა ინტერნეტზე, სასწავლო საგნის ხელმძღვანელი, როგორც

წესი, აკეთებს სალექციო შეხვედრის აუდიოჩანაწერს და ასევე, უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას სტუდენტებისათვის თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, რომელიც ონლაინრეჟიმში კითხულობს ლექციებს დისტანციური საკონფერენციო სერვისის „ზუმი“ გამოყენებით, არაუგვიანეს ყოველი სალექციო/სასემინარო შეხვედრის წინა დღეს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით ატყობინებს სტუდენტებს სალექციო შეხვედრის თაობაზე. ლექციის ვებმისამართი საინდენტიფიკაციო კოდით, ე.წ. ID და, ასეთი აუცილებლობისას, პაროლი სტუდენტს ეგზავნება თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრაციული განყოფილებიდან (→ http://ADMIN.LMS.TSU.GE) შესაბამისი გრაფის დახმარებით „სალექციო ID (Zoom)“.

რადგან ფაკულტეტი საკუთარ სტუდენტებს სთავაზობს როგორც ასინქრონული, ასევე სინქრონული ელექტრონული სწავლების ფორმებს, მნიშვნელოვანია, სტუდენტმა დროულად და ზუსტად მიიღოს ინფორმაცია სინქრონული სწავლების შესახებ და ეფექტურად შეუერთდეს სალექციო/სასემინარო მეცადინეობას. ფაკულტეტის თხოვნით, თსუ IT სამსახურმა თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაამატა ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც, სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ ამ სისტემაში შესაბამისი გრაფით „სალექციო ID (Zoom)“ სალექციო/სასემინარო შეხვედრის დაგეგმვისას სტუდენტებს ავტომატურად ეგზავნებათ იგივე ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების, ე.წ. SMS-ის სახით მობილური ტელეფონის პირად ნომერზე. ამდენად, ყველა ლექციისა თუ სემინარის თაობაზე, რომლის ჩატარებაც უნდა მოხდეს დისტანციური საკონფერენციო სერვისის „ზუმი“ გამოყენებით, სტუდენტს წინასწარ უნდა ეცნობოს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის შეტყობინებების შესაბამისი გრაფიდან „სალექციო ID (Zoom)“.

ამასთან ერთად, მონიტორინგის მიზნებისათვის, აუცილებელია, იგივე საიდენტიფიკაციო კოდი გაიგზავნოს ფაკულტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართზეც law2020@tsu.ge.

სასწავლო კურსების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც „ზუმის“ პლატფორმაზე შექმნეს სალექციო/სასემინარო ნაკადი, ე.წ. „Channel“, ამ ნაკადში უნდა დაამატონ ფაკულტეტის ადმინისტრაცია ელექტრონული ფოსტის მისამართით law2020@tsu.ge. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსის ხელმძღვანელი თავად უზრუნველყოფდეს მის სალექციო/სასემინარო ჯგუფში რეგისტრირებული ყველა სტუდენტის დამატებას ამ ნაკადში და მათ ინფორმირებას მიმდინარე შეხვედრების შესახებ თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

IV. მხარდაჭერის ღონისძიებანი

ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი, რომელიც ემსახურება სტუდენტებსა და სასწავლო კურსების განმახორციელებლებს ტექნიკურ და შინაარსობრივ საკითხებთან მიმართებით.

ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას, რაც გულისხმობს: სასწავლო მასალის დროული ატვირთვის მონიტორინგს, ასევე, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ტექნიკურ კონსულტირებას; ელექტრონული სწავლებისთვის აუცილებელი მასალის შემუშავებაში, დაარქივებასა და სხვა თანმდევ პროცესებში აკადემიური პერსონალის დახმარებას; ელექტრონული სწავლების განხორციელების მონიტორინგს (ასინქრონული სწავლებისთვის თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით განხორციელებული აქტივობის პერიოდულ შემოწმებას, ხოლო სინქრონული სწავლების შემთხვევაში - მიმდინარე ლექციებსა და სემინარებზე წვდომას). ჯგუფი მართავს ყოველდღიურ შეხვედრებს „ზუმის“ პლატფორმით პრობლემების სწრაფი აღმოჩენისა და მათზე დროული რეაგირებისათვის.

ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის მხარდაჭერით, პირველ ეტაპზე ხორციელდება ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროგრამებში ჩართული აკადემიური გუნდის ინფორმირება ელექტრონული სწავლების მიმართულებით გადადგმული საწყისი ნაბიჯების შესახებ. როგორც ლექტორებს, ისე სტუდენტებს ეგზავნებათ საგანგებოდ მომზადებული სახელმძღვანელო დისტანციური საკონფერენციო სერვისის „ზუმი“ გამოყენების შესახებ. აკადემიურ გუნდს, ასევე, ეგზავნება რელევანტური ინსტრუქციები, ე.წ. „ტუტორიალები“ სალექციო/სასემინარო მასალის ატვირთვის, განსაკუთრებით, დიდი მოცულობის მასალის ატვირთვის, ასევე, „ზუმის“ აპლიკაციის ეფექტურად გამოყენების ინსტრუმენტების თაობაზე. ელექტრონული სწავლების მხარდაჭერის ჯგუფი ატარებს რეგულარულ შეხვედრებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, მათ შორის აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების, სემინარების ხელმძღვანელების, სხვადასხვა მიმართულებების პროფესორებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. ამ ფორმატში პროგრამის განმახორციელებლებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია როგორც ელექტრონული სწავლების საფაკულტეტო პოლიტიკის, ისე ტექნიკური საკითხების თაობაზე.

ყველა სტუდენტისათვის იქმნება ან განახლდება თსუ კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მისამართები და სასწავლო კურსების ყველა განმახორციელებელს შეეთავაზება, ასევე, თსუ კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მისამართი სტუდენტთა ჯგუფებთან კომუნიკაციის გამარტივებისა და შესრულებული დავალებების მიღების მიზნებისათვის.

ელექტრონული სწავლების მხარდამჭერი ჯგუფი ზრუნავს არსებული პროგრამული უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების განვითარებაზე. ჯგუფის ინიციატივით, ადაპტირდა თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გარკვეული კომპონენტები და მას დაემატა სხვადასხვა ფუნქცია, მაგ., ელექტრონული სწავლების უკუკავშირის გრაფა, სალექციო/სასემინარო Zoom ID-ის გრაფა, რომელსაც, თავის მხრივ, დაუკავშირდა გრაფასთან სტუდენტებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინების ავტომატური გაგზავნის ახალი ფუნქცია.

ამასთან, ელექტრონული სწავლების დანერგვის მთელი პროცესი მიმდინარეობდა სტუდენტთა ინფორმირებით ფაკულტეტის ვებგვერდის, თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საინფორმაციო დაფისა და სტუდენტთა ელექტრონული ფოსტის მისამართების გამოყენებით. შედგა ონლაინშეხვედრები სტუდენტებთან, მათ მიეწოდათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, მისი მიმდინარეობის, ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის, ელექტრონული სწავლებისას პერსონალური მონაცემების დაცვისა და სხვათა შესახებ.

V. სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევა

ელექტრონული სწავლების ყველაზე დიდი გამოწვევაა პროგრამით, სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა. ამდენად, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ კურსის იმგვარად ადაპტირება, რომ ელექტრონული სწავლებისას გამოყენებულ იქნეს შეფასების რელევანტური მეთოდები, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა ინფორმირებულობა და მონაწილეობა სასწავლო პროცესში, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტთა ინდივიდუალური სწავლების საჭიროებების გათვალისწინება და სწავლებისა და შეფასების შესაბამისი მეთოდების შეთავაზება.

VI. შეფასება

შექმნილ ვითარებში თსუ საგამოცდო ცენტრის მიერ საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების შეუძლებლობის გამო, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გამოცდები უნდა ჩატარდეს დისტანციური საშუალებებით, რომელსაც სასწავლო კურსების ხელმძღვანელები თავად გაუწევენ ორგანიზებას. ამ შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში, სასწავლო კურსის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისათვის საჭირო პრევენციული ზომების მიღებას გამოცდის ელექტრონულ ფორმატში ჩატარებისთვის.

ფაკულტეტზე სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება იწარმოებს 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას (არაუმეტეს 60 ქულით) და დასკვნით შეფასებას (არაუმეტეს 40 ქულით). აღნიშნული 60-ქულიანი შუალედური შეფასება გადანაწილებულია სემესტრის მანძილზე განსახორციელებელ 2 კომპონენტზე და წარმოადგენს მათ ერთობლიობას. რეკომენდებულია, შუალედური შეფასება შედგებოდეს თანაბარწონიანი პროპორციული კომპონენტებისაგან (30-30 ქულა).

ზემოხსენებული შეფასების ერთი 30-ქულიანი კომპონენტის ფარგლებში ტარდება ასინქრონული შუალედური გამოცდა. ყველა დისციპლინაში სასწავლო კურსის ხელმძღვანელი სტუდენტს განუსაზღვრავს ანალიტიკურ დავალებას, მაგ., ესეი, კაზუსი, რეფერატი, ინდივიდუალური პრეზენტაცია, სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი ან/და სხვ., და ამ დავალების შესრულების ვადას. დავალება ყველა დისციპლინაში ეგზავნება სტუდენტს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის

გამოყენებით. დავალებაში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, თუ როგორია კონკრეტული სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მოთხოვნები და მათი შესრულების შეფასების კრიტერიუმები. სავალდებულოა აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვა. შესრულებული დავალება მიიღება არაუგვიანეს 2020 წლის 1 ივნისისა. შესრულებული დავალების მიღება შესაძლებელია როგორც თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით, ისე სასწავლო კურსის ხელმძღვანელის თსუ კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც სტუდენტებს უნდა ეცნობოთ თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან. სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ ამ კომპონენტის შეფასება თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში უნდა აისახოს არაუგვიანეს 2020 წლის 7 ივნისისა.

სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმების მეორე 30-ქულიანი კომპონენტის ფარგლებში შეფასება ხორციელდება სინქრონული დავალებით (სტუდენტებს ერთდროულად ეძლევათ დავალება „ზუმსა“ და/ან თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში) და სასწავლო კურსის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, განისაზღვრება დავალების შესასრულებლად გონივრული დრო, რასაც განაპირობებს თავად დავალების სირთულე. შესრულებული დავალების მიღება, ასევე, ხდება თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ან სასწავლო კურსის ხელმძღვანელის თსუ კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მისამართზე. იმ სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ მუდმივი წვდომა ინტერნეტთან, სასწავლო კურსის ხელმძღვანელი შესთავაზებს კომპონენტის აღდგენის შესაძლებლობებს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის კორესპოდენციების განყოფილებიდან კომუნიკაციის გზით. სინქრონული გამოცდის ჩატარების/აღდგენის თარიღს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი გეგმავს სტუდენტებთან შეთანხმებით, მაგრამ შეფასება ამ კომპონენტში უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 13 ივნისისა.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების კომპონენტია დასკვნითი გამოცდა (არაუმეტეს 40 ქულით), რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს თსუ საგამოცდო ცენტრი. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. მისი ადმინისტრირების განსხვავებული წესი შეიძლება დადგენილ იქნეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ საგანგებო მდგომარეობისა და ეპიდემიური ვითარების მხედველობაში მიღებით.

სტუდენტთა შეფასების შემდეგ მათთან უკუკავშირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან ან თსუ კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან. შეფასების ზემოხსენებულ ყველა კომპონენტთან მიმართებით სტუდენტს აქვს აპელაციის შესაძლებლობა თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან კომუნიკაციის გზით. ამ შემთხვევაში დასაშვებია სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ „ზუმის“ პლატფორმის გამოყენებაც სტუდენტთან უკუკავშირისთვის. აუცილებელია, სტუდენტებთან უკუკავშირი საკითხების ახსნა-განმარტების სათანადო სიღრმითა და სიფართოვით განხორციელდეს როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო-ჯგუფური

წესით.

ფაკულტეტის აკადემიურმა გუნდმა სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის რისკები და გამოიყენოს ელექტრონული სწავლების ფორმატის შესაბამისი დავალებები და შეფასების რელევანტური საშუალებები. ფაკულტეტი ითვალისწინებს, რომ სტუდენტთა ნაწილს მუდმივად არ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე, ამასთან, საგანგებო მდგომარეობით დადგენილი სოციალური დისტანცირებისა და გადაადგილების შეზღუდვები, ასევე, წარმოადგენს დაბრკოლებას. ამ შემთხვევაში სასწავლო კურსის განმახორციელებელი უფლებამოსილია, სტუდენტის მომართვაზე დაყრდნობით შესთავაზოს მას შეფასების ალტერნატიული გზები. შესაძლოა, სასწავლო კურსის ხელმძღვანელმა, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ზოგ შემთხვევაში, განიხილოს შეფასებების განხორციელების საკითხი ეპიდემიის საფრთხის აღმოფხვრის შემდეგაც.

სასწავლო კურსის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებითა და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეუძლია, განსაზღვროს შუალედური შეფასებების კომპონენტების განსხვავებული განაწილება. შეფასების განსხვავებული მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ.

VII. სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა

სერიოზულ გამოწვევად რჩება სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში იმის გათვალისწინებით, რომ მათი ნაწილისთვის არ არის ხელმისაწვდომი უწყვეტი ინტერნეტი/შესაბამისი მოწყობილობები. ფაკულტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლით გამოწვეული შესაძლო შედეგების შესახებ და ჰქონდეთ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ფაკულტეტი თვლის, რომ ასეთ სტუდენტებს, მათი სურვილის შემთხვევაში, უნდა მიეცეთ აკადემიური შვებულების აღების უფლება გონივრულად გახანგრძლივებულ ვადებში. ამასთან ფაკულტეტი ასეთ სტუდენტებს ასევე სთავაზობს სწავლების ასინქრონულ საშუალებებსა და შეფასების ზემოთ აღწერილ ალტერნატივებს.

VIII. საბიბლიოთეკო რესურსი და სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა

ფაკულტეტმა თავი მოუყარა მის ხელთ არსებულ ინფორმაციას ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებით. სტუდენტებს დაეგზავნათ ამასთან დაკავშირებული გზამკვლევი, რომელიც აერთიანებს ზოგიერთი ქართული თუ უცხოენოვანი სამეცნიერო ბაზის, ელექტრონული რესურსების ჩამონათვალს. სამეცნიერო ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების განხილვის მიზნით, ფაკულტეტის ინიციატივით დაიგეგმა და ჩატარდა საკონსულტაციო

შეხვედრები სტუდენტებთან „ზუმის“ აპლიკაციის გამოყენებით (სამიზნე ჯგუფს, ბაკალავრიატის სტუდენტებთან ერთად, შეადგენდნენ მაგისტრანტები და დოქტორანტები, რომლებიც ახორციელებენ კვლევით სამუშაოებს). ასევე, გამოიყო პასუხისმგებელი პირი, რომელიც ელექტრონული ფოსტით კონსულტაციას უწევს სტუდენტებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის აკადემიურმა გუნდმა შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოს მათ მიერ შეთავაზებულ დისციპლინებზე ელექტრონული მასალის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა საავტორო უფლებათა პატივისცემით.

IX. პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული სწავლების პროცესში

ელექტრონული სწავლება დაკავშირებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან და ამრიგად, მნიშვნელოვანია ამ პროცესში როგორც ფაკულტეტის სტუდენტების, ისე აკადემიური გუნდის წევრების პერსონალურ მონაცემთა (მაგ., ხმა, გამოსახულება და სხვ.) დაცვის საკითხი. ამის გამო, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლექციების აუდიო/ვიდეოჩანაწერები და ონლაინშეხვედრების ამსახველი აუდიოვიზუალური მასალა, მათ შორის ე.წ. „screenshot“, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს ელექტრონული სწავლების პროცესის ყველა მონაწილის მიერ ასეთი მონაცემების მოსმენისას, დათვალიერებისას, შენახვისას და სხვა პირებისთვის გაზიარებისას. ფაკულტეტის აკადემიური გუნდის მიერ საკუთარი სტუდენტებისათვის ელექტრონული ფორმატით მომზადებული სალექციო მასალები („პოდკასტი“, ვიდეო/აუდიოლექცია) გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ და მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის, დანიშნულებისამებრ. დაუშვებელია მათი გაზიარება არაუფლებამოსილი მესამე პირებისათვის, მათ შორის სოციალური ქსელების მეშვეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, შეიქმნას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის პრეცედენტი. ასეთი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ განცხადებების მიღება იწარმოებს ფაკულტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე tsu.law@tsu.ge.

X. კლინიკური სწავლება

ელექტრონული სწავლება საყურადღებო გამოწვევაა კლინიკური სწავლებისა და პრაქტიკული კურსების შემთხვევაში. ამასთან, ამ მიმართულებითაც განხორციელდა გარკვეული ადაპტირება შედეგების მიღწევის შესაძლებლობების შენარჩუნებით. შეთავაზებულ იქნა დისტანციური სწავლების სხვადასხვა ალტერნატიული გზა, მათ შორის დისტანციური საკონფერენციო სერვისი „ზუმი“, დავალებების მიმოცვლა ელექტრონული ფოსტისა და თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ასევე, პრეზენტაციები.

კლინიკების უდიდესი ნაწილი სარგებლობს ისეთი წერილობითი დავალებებით, როგორიცაა რეალურ შემთხვევებზე სამართლებრივი დოკუმენტების (მაგ., სარჩელი,

შესაგებელი, წერილობითი კონსულტაცია, განცხადება, შუამდგომლობა, მემორანდუმი, ხელშეკრულება და ა.შ.) მომზადება, ასევე, რეალური საქმიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხზე სასამართლო პრაქტიკის მოძიება. ამდენად, შესაძლებელია, ზოგიერთ კლინიკაში სტუდენტებმა წარადგინონ პრეზენტაციები „ზუმის“ მეშვეობით. იმ კლინიკებში, სადაც ტექნიკური ბაზა იძლევა საამისო საშუალებას, სტუდენტი ასევე ჩართულია სატელეფონო იურიდიულ კონსულტაციებში. სტუდენტები, რომლებიც კლინიკის ფარგლებში ეუფლებიან ტრენერის უნარ-ჩვევებს, კლინიკის ხელმძღვანელის მენტორობით ამუშავებენ ტრენინგ-მოდულებს, რასაც შემდგომ „ზუმის“ საშუალებით სემინარებზე დაიცავენ. ამ ტიპის კლინიკებში წარმატებით ხორციელდება ინტერაქციული ტრენინგი „ზუმის“ საშუალებით. კლინიკის ხელძღვანელი, ასევე, მუშაობს სტუდენტი ტრენერების მიერ რამდენიმე ტრენინგის დისტანციურად ჩატარების შესაძლებლობაზეც, თუმცა, თუკი პანდემიით გამოწვეული საფრთხეები დროულად აღმოიფხვრა, ასეთ შემთხვევაში სტუდენტები კლინიკის ხელმძღვანელის მენტორობით ტრენინგებს შესაბამის სკოლებში სამიზნე აუდიტორიასთანაც ჩაატარებენ.

XI. სტუდენტთა ინფორმირებულობა

იმის გათვალისწინებით, რომ ფაკულტეტს მოუწია მთელი რიგი გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება, სტუდენტთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასევე სერიოზულ გამოწვევად გამოიყურება. ამასთან, ფაკულტეტისთვის მნიშვნელოვანია განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით სტუდენტების დროული ინფორმირება. სტუდენტებს ყველა მნიშვნელოვან სიახლესთან დაკავშირებით სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საინფორმაციო დაფის, ელექტრონული ფოსტისა და ფაკულტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, როგორც ფაკულტეტის მხრიდან, ასევე აკადემიური გუნდის მხრიდან სტუდენტს უნდა ეცნობოს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან, რათა ეს ინფორმაცია თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. საყურადღებოა, რომ სოციალური ქსელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც მხოლოდ დამატებითი ინსტრუმენტი, ხოლო ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია სტუდენტმა უნდა მიიღოს ვებგვერდის, თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

ფაკულტეტის ინიციატივით თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი გრაფა „ელექტრონული სწავლების კომპონენტთან დაკავშირებული პრობლემები“, საიდანაც სტუდენტები ფაკულტეტს აცნობებენ ამ მიმართულებით არსებული პრობლემების თაობაზე. შესაბამისად, ფაკულტეტი დროულად არის ინფორმირებული მასალებთან, ლექციის ჩატარებასთან, ხმოვანი თუ სხვა სახის ფაილების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ და დროულად იღებს ზომებს არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

ფაკულტეტის თხოვნით, თსუ IT სამსახურის მიერ განხორციელდა სტუდენტთა საუნივერსიტეტო ელექტრონული საფოსტო მისამართების განახლება-გენერირებაც. ყველა სტუდენტს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საკუთარ გვერდზე აესახა თსუ კორპორაციული ელექტრონული ფოსტის პირადი მისამართი შესაბამისი პაროლით. სწორედ აღნიშნული ელექტრონული ფოსტის გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტის ხელმისაწვდომობას საუნივერსიტეტო სერვისებზე, მათ შორის მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს დავალების შესრულებისას სტუდენტის იდენტიფიცირების საჭიროებას.

ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ჩაატარა რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა სტუდენტებთან, რათა მიეღო ინფორმაცია პროცესის წარმართვის თაობაზე და გაეთვალისწინებინა სტუდენტების მოსაზრებები. იმ სტუდენტებს, რომელთაც აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და ვერ ახერხებენ, სრულად ჩაერთონ ელექტრონულ სწავლებაში, ფაკულტეტი, შესაბამისი მომართვისა და საჭიროებების იდენტიფიცირების შემდეგ, შესთავაზებს მათ მხარდაჭერის დამატებით, ინდივიდუალურად მორგებულ ღონისძიებებს საამისო შესაძლებლობების გამოყენების გონივრულობის პრინციპით.

ამასთან ერთად, ფაკულტეტი კავშირზეა ყველა სტუდენტთან, რომელიც 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სარგებლობს საერთაშორისო მობილობით. ფაკულტეტის პერსონალიც აუცილებლობიდან გამომდინარე მეტწილად გადავიდა დისტანციური მუშაობის ფორმატზე და სტუდენტებს შეუძლიათ ამა თუ იმ პრობლემის შესახებ დაუკავშირდნენ ფაკულტეტის ადმინისტრაციას თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის შესაბამისი გრაფიდან. დეკანთან კომუნიკაცია შესაძლებელია გრაფიდან „მისწერე დეკანს“.

ამასთან, გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის წინამდებარე კონცეფციის დამტკიცების შესახებ, ხდება ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომის ფორმატში.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სწავლების განხორციელება ფაკულტეტზე საყოველთაო საფრთხითაა გამოწვეული და არაერთ ზემოაღწერილ გამოწვევას უკავშირდება, უნდა აღინიშნოს, მისი დანერგვა ხელს შეუწყობს მეტ მოქნილობას უმაღლესი განათლების სფეროში და შექმნის კარგ შესაძლებლობებს განათლების ინტერნაციონალიზაციისთვისაც, თუკი იგი უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ტექნიკური და IT მხარდაჭერით და თსუ სასწავლო პროცესის მართვის ადაპტირებული და გამართული ელექტრონული სისტემით.

XII. დასკვნითი დებულებანი

შესაძლოა, ეს კონცეფცია გამოყენებულ იქნეს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ვადის ამოწურვისა და ახალი კორონავირუსული დაავადების პანდემიის დაძლევის შემდეგაც.